

# გუბერნატორი გორში კომბინატისა და წმინდანყლის დასახლებას სტუმრობდა

30 ნოემბერი 2016

შიდა ქართლის მხარის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი იოსებ ოქრომელიძე ქ. გორის მერთან, ზურაბ ჯირკველიშვილთან ერთად წმინდანყლისა და კომბინატის მაცხოვრებლებს შეხვდა და მათი საჭიროებები მოისმინა. ამასთან ერთად გაეცნო ტყვიავის ქუჩაზე №10-ე კორპუსში ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებსა და გიორგი ანუხელიძის ქუჩაზე სკვერის პროექტის ესკიზს, რომელიც მომავალ წელს აღნიშნული ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა. ტყვიავის ქუჩაზე მდებარე კორპუსში პროექტის მიხედვით დაგეგმილია სახურავის ნაწილის რეაბილიტაცია, სადარბაზოებისა და დაზიანებული კიბის უჯრედების სარემონტო სამუშაოები. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების წილი პროექტის ღირებულების 90%-ს - 10 999 ლარს შეადგენს. სკვერის მოსაწყობად კი 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში 120 ათასი ლარია გათვალისწინებული. აღნიშნული ბიუჯეტის პროექტი ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის დეკემბერში მორიგ სხდომაზე წარედგინება დასამტკიცებდად. გუბერნატორმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მოქალაქეებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის დიალოგი და საკითხების ერთობლივი განხილვა, რაც ხელს შეუწყობს არსებული გამონვევების დროულ და ეფექტურ გადამწყვეტას. მაცხოვრებლების თქმით, დაგეგმილი პროექტები მკვეთრად გააუმჯობესებს მათ საცხოვრებელ თუ გარემო პირობებს.